კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, როგორც მათი საუკეთესო ინტერესის დაცვის გარანტი

ლიპარტია ანა

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიპარტია ანა

2023 წელ

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა-რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შესახებ, როგორც მათი საუკეთესო ინტერესის გარანტ ინსტიტუტზე. ნაშრომის ფარგლებში განხილულია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამის მიმდინარეობა ქართულ სამართლებრივ სივრცეში განრიდება-მედიაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების განხორციელების ფარგლებში. კვლევა განიხილავს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით ქართულ სამართლებრივ რეალობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფორმირებას, აიდენტიფიცირებს პრაქტიკულ ხარვეზებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობისას და აფასებს რამდენად ემსახურება დღეს არსებული პროგრამები არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის დაცვას.

კვლევაში განხილული საკითხების ანალიზისა და გადამუშავების მიზანია ის, რომ განიხილოს საქართველოში არსებული არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები, გამოკვეთოს მათი, როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული ხარვეზები, განსაზღვროს მათი გადაჭრის გზები და შეაფასოს რამდენად უზრუნველყოფილია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ფარგლებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის დაცვის უფლება. ამისათვის კვლევაში გამოყენებული იქნება, როგორც შედარებითი სამართლებრივი ისე პრობლემაზე დაფუძნებული დოქტრინალური კვლევის მეთოდები.

ნაშრომში გამოიკვეთა მთავარი საკითხის გარშემო არსებული პრობლემები, როგორებიცაა: ბენეფიციარებისათვის განკუთვნილი სერვისების ნაკლებობა, ადამიანური რესურსების დეფიციტი, კადრების სპეციალიზაციისა და გადამზადების საჭიროება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების შაბლონურობა და სოციალური კრიტერიუმის ნაკლებობა, სახელმწიფოში არასრულწლოვან პირთა

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი სამოქმედო გეგმის არ არსებობა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის სისუსტე. პრობლემების არსებობას პროცესში ადასტურებს ნაშრომში განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების, უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და გამოქვეყნებული ანგარიშები, რომლებშიც ფაქტებზე დაყრდნობით, ღიად არის საუბარი არსებულ პრობლემებზე. ნაშრომში ასახული ანგარიშების, რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთიანობაში განხილვა კი, სამომავლოდ იძლევა საშუალებას, კვლევის შედეგების საფუძველზე, ჩამოყალიბდეს საკითხის გარშემო არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელი სამოქმედო გეგმა.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი

Abstract

The paper presents a study on the resocialization-rehabilitation of juveniles in conflict with the law, as an institution that guarantees their best interest. Within the framework of the work, the progress of the resocialization-rehabilitation program of minors in the Georgian legal space within the framework of implementation of diversion-mediation, custodial and non-custodial sentences is discussed. The study examines the formation of juvenile justice in the Georgian legal reality in terms of resocialization-rehabilitation, identifies practical gaps in the resocialization-rehabilitation process, and evaluates the extent to which the current programs serve to protect the best interests of minors.

The purpose of the analysis and processing of the issues discussed in the research is to review the resocialization-rehabilitation programs of minors in Georgia, to highlight their legal and practical shortcomings, to determine the ways to solve them, and to assess the extent to which the right to protect the best interests of minors in conflict with the law is ensured within the framework of resocialization-rehabilitation. For this, both comparative legal and problem-based doctrinal research methods will be used in the research.

The paper highlighted the problems surrounding the main issue, such as: lack of services for beneficiaries, shortage of human resources, need for specialization and retraining of personnel, pattern of resocialization-rehabilitation programs and lack of social criteria, lack of unified action plan for resocialization-rehabilitation of minors in the state and weakness of inter-agency cooperation . The existence of problems in the process is confirmed by the studies conducted by the international organizations, authorized state structures and non-governmental organizations discussed in the paper, and published reports, in which, based on facts, the existing problems are openly discussed. In the future, considering the reports, recommendations and international standards presented in the paper will allow, based on the

results of the research, to formulate an action plan to eliminate the problems surrounding the issue.

Key words: juvenile justice, resocialization-rehabilitation, best interest of juveniles, juvenile in conflict with the law